კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	----------
ფაკულტეტის დასახელება	პედაგოგიური
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	პროფესორი იმერ ბასილაძე თანახელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ვლადიმერ ადეიშვილი
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 1 სასწავლო წელი პროგრამის მოცულობა - 60კრედიტი: • პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის დისციპლინები - 35 კრედიტი • საგნის სწავლების მეთოდიკის ციკლის დისციპლინები – 15 კრედიტი • სასკოლო პრაქტიკა - 10 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით

პროგრამის მიზნები

- მოამზადოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მახასიათებლების მქონე წარჩინებული მასწავლებელი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული მახასიათებლებით აღჭურვილი უფროსი მასწავლებელი;
- მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის (მუსიკის და უცხო ენის შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მასწავლებელი, რომელსაც გააზრებული აქვს და იზიარებს სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის პრინციპებს, ეროვნული კულტურის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ბავშვთა უფლებებს;
- მისცეს ცოდნა საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურისა და საგანმანათლებლო კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ;
- შეასწავლოს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნები;
- ხელი შეუწყოს მასწავლებლის მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას;
- შეასწავლოს განათლების თეორიები და სწავლების მეთოდოლოგიის საფუძვლები, სწავლისა და სწავლების სტრატეგიები, სწავლების მეთოდები, მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, მიზნები და პრინციპები;
- ქონდეს ცოდნა-უნარი უხელმძღვანელოს მთლიან სასწავლო პროცესსა და კლასს, როგორც დინამიურ განვითარებად კოლექტივს;
- მოამზადოს კონკრეტული საგნის მასწავლებელი, რომლის პროფესიული დონე შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნებთან;

• მოამზადოს კონკრეტული საგნის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წარჩინებული მასწავლებლის მახასიათებლების მქონე პედაგოგი; • შემოქმედებითი პედაგოგიური აზროვნების მქონე ისეთი უნარებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელიც წარმატებით გაუძღვება ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს; • პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი უახლესი მეთოდური ცოდნისა და პროფესიული კომპეტენციების მქონე საბაზო და საშუალო სკოლის (მუსიკის და უცხო ენის შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მასწავლებლის მომზადებას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მითითებულ საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა, ისტორია, მუსიკა. • ისეთი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს როგორც წარმატებული პროფესიული სააქმიანობა, ისე მასწავლებლობისთვის საჭირო პროფესიული განვითარების ეტაპების წარმატებით დაძლევა და სურვილისამებრ, კვლევით სფეროში სწავლის გაგრძელება; • გაიაზროს ეროვნული სასწავლო გეგმა, როგორც საერთო მიზნების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფა ღირსეული და აქტიური მოქალაქის აღზრდას, რომელსაც განუვითარებს დამოუკიდებლობის, კომუნიკაბელურობის, კანონმორჩილების, ტოლერანტობის, შემოქმედებითობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის ღირებულებებს	
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები) **(სწავლის შედეგების რუქა ახლავს დანართის სახით, იხ. დანართი 2)**	
ცოდნა და გაცნობიერება	• აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ცოდნა; • აცნობიერებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; • იცის საგნის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები; • აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება; • აცნობიერებს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და იცის როგორ დაგეგმოს გაკვეთილი; • იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები და სპეციალისტებთან ერთად ქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს კლასში მოსწავლის ინტეგრაციას; • იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი; • იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს და სტრუქტურას; • იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო. • აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ირჩევს მოსწავლის მშობლებთან და სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის მიდგომებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; • იყენებს სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით; • იყენებს სწავლების კონკრეტულ მეთოდსა და ორგანიზების ფორმასთან დაკავშირებულ ქცევის წესებს; • შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, გაკვეთილის დაგეგმვა და სასწავლო პროცესის მართვა; • იყენებს სწავლისა და განვითარების თეორიებს პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის; • იყენებს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს სწავლების პროცესთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემების

	გადასაჭრელად; • შეუძლია თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით მოტივაციის ამაღლების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება; • შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; • შეუძლია განსაზღვროს კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები და გამოიყენოს კონფლიქტის მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები საკლასო ოთახში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად; • შეუძლია მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა და მასზე რეაგირება; • ფლობს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარს; • იყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს; • ეფექტურად იყენებს ჯგუფური მუშაობის, ასევე თანამშრომლობით, კონკრეტულ და დამოუკიდებელ სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდს; • აქვს უნარი კანონის შესაბამისი ფორმულირება მისცეს განათლების საკითხებთან წარმოქმნილ შეუსაბამობას;
დასკვნის უნარი	• კრიტიკულად აანალიზებს, განიხილავს და აფასებს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით მოწოდებულ თუ მოძიებულ ინფორმაციას, აკეთებს დასკვნებს და ახდენს არგუმენტირებას; • შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა, დასკვნის გაკეთება, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა; • შეუძლია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება და მათი დასკვნის სახით ჩამოყალიბება; • შეუძლია ინდივიდუალური მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით გაანალიზოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროგრესი, გააკეთოს შესაბამისი დასკვნები და შეარჩიოს შეფასების შესაბამისი სტრატეგიები;
კომუნიკაციის უნარი	• აქვს პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან; • შეუძლია საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; • შეუძლია მოიძიოს და გამოიყენოს სასწავლო მიზნისათვის შესაბამისი რესურსები, მათ შორის ელექტრონული.
სწავლის უნარი	• აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერების უნარი და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფა-სება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; • აქვს უნარი მოიძიოს და პრაქტიკაში დანერგოს სწავლების ინოვაციური სტრატეგიები; • შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, როგორც პროფესიაში წარმატების პირობა.
ღირებულებები	• ასაკობრივი და ზოგად ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებების გააზრების საფუძველზე აყალიბებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან ურთიერთობის ფორმებს კოლეგიალობის,

	ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთანამშრომლობის პრინციპების დაცვით; • უზიარებს კოლეგებს პედაგოგიურ გამოცდილებას; • პატივისცემით ეპყრობა მოსწავლეებს, კოლეგებს და მშობლებს, განსხვავებული უნარისა და თავისებურებების მქონე მოსწავლეს; • უვითარებს მოსწავლეებს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებებს; • სამართლიანად აფასებს თანამშრომელთა კვალიფიკაციას და მონდომებას მათი პროექტების მართვაში ჩართულობისას; • აცნობიერებს დარგის უმთავრეს ეთიკურ მოთხოვნებს და იცავს მათ როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

სწავლების მეთოდები

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს მასწავლებლის კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის და უნარების მიღწევას.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რეალიზაცია ხდება სასწავლო კურსებში ლექციების (კლასიკური და ინტერაქტიული), ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით, ასევე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით, აგრეთვე პრაქტიკის ობიექტზე სამუშაო პროცესში მონაწილეობის მეშვეობით).

ლექციის დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდოლოგიური ინფორმაციით და ტერმინოლოგიით. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე.

ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება, პრაქტიკული აპლიკაცია.

სწავლებისა და სწავლის პროცესში გამოიყენება როგორც <u>ვერბალური</u>, ისე <u>წერითი</u>, როგორც <u>ინდივიდუალური</u>, ისე <u>ჯგუფური/წყვილში</u> მუშაობის მეთოდები; დავალებათა შესასრულებლად და საკითხების ვიზუალიზაციისათვის შემოქმედებითად იქნება გამოყენებული <u>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, წიგნზე მუშაობის მეთოდი</u>; აქტიურად იქნება გამოყენებული ისეთი მეთოდები, როგორიცაა: <u>დისკუსია/დებატების მეთოდი; შემთხვევის ანალიზის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; გონებრივი იერიშის მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი</u>

პროფესორი შეიძლება იყენებდეს აღნიშნულ ან/და ნებისმიერ სხვა მეთოდს ამა თუ იმ კონკრეტული სასწავლო ამოცანის შესასრულებლად.

ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა - უფრო აქტიური, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას - სტუდენტები ეჩვევიან ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას; მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას.

კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რაც დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

1. პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის დისციპლინები - 35 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო);
2. საგნის სწავლების მეთოდიკის ციკლის დისციპლინები – 15 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო);
3. სასკოლო პრაქტიკა - 10 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო);

პროგრამა მოიცავს საგნის სწავლების მეთოდიკის ციკლის დისციპლინების 12 მოდულს:

1. ქართული ენა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა;
2. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა;
3. გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა;
4. ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა;

5. ფიზიკის სწავლების მეთოდიკა;
6. ქიმიის სწავლების მეთოდიკა;
7. ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა;
8. გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა;
9. ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა;
10. რუსული ენის სწავლების მეთოდიკა;
11. ისტორიის სწავლების მეთოდიკა;
12. მუსიკის სწავლების მეთოდიკა;

სასწავლო გეგმა იხ.დანართის სახით! (იხ დანართი 1).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

I. სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

▪ სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

▪ შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.

▪ შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით (იხ. სილაბუსებში).

▪ შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

▪ დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

▪ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

▪ შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომსტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

1. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

3. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

4. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფეროები
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: • კერძო და საჯარო სკოლებში; • სასწავლო ცენტრებში. • საგანმანათლებლო დაწესებულებებში; • პედაგოგთა გადამზადების ცენტრებში; • რესურს-ცენტრებში; • განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; • მასწავლებელთა სახლებში.
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია, რითაც სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ნებისმიერ სასურველ დროს და მოიძიონ საჭირო ინფორმაცია. პროგრამის განხორციელებას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე <u>აკადემიური პერსონალი</u> და მოწვეული სპეციალისტები (დანართში იხილეთ CV).

სასწავლო გეგმა
პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

№	კურსის დასახელება	ს/კ	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/ჯგ	სემესტრი		დაშვების წინაპირობა
				სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	
					აუდიტორული	შუალედური დასკვნითი					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის დისციპლინები - 35 კრედიტი										
1.1	პედაგოგიკის ზოგადი კურსი	3	**5**	**125**	45	2	77	1/2	x		
1.2	ზოგადი ფსიქოლოგია	3	**5**	**125**	45	2	77	2/1	x		
1.3	ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია	3	**5**	**125**	45	2	77	2/1		x	1.2
1.4	განვითარების და სწავლების თეორიები	2	**2**	**50**	30	2	17	1/1	x		
1.5	დიდაქტიკა	3	**5**	**125**	45	2	77	1/2	x		
1.6	კლასის მართვა	3	**5**	**125**	45	2	77	1/2	x		
1.7	ზოგადი განათლების სისტემის მართვა	3	**3**	**75**	45	2	27	1/2	x		
1.8	ინკლუზიური განათლება	3	**5**	**125**	45	2	77	1/2		x	
სულ		**24**	**35**	**875**	**345**	**24**	**506**	**-**			
2	სასკოლო პრაქტიკა - 10 კრედიტი										
2.1	პედაგოგიური პრაქტიკა	4	10	250	60	2	187			x	1.5; 1.6
სულ		**4**	**10**	**250**	**60**	**2**	**187**	**-**			
3	საგნის სწავლების მეთოდიკის ციკლის დისციპლინები - 15 კრედიტი										
3.1	ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა										
3.1.1	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ზოგადი	3	5	125	45	2	77	1/2	x		

	მეთოდიკა										
3.1.2	ქართული ენის სწავლების მეთოდიკა	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.1.1
3.1.3	ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.1.1
3.2	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა										
3.2.1	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.2.2	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.2.1
3.2.3	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა-3	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.2.1
3.3	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა										
3.3.1	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.3.2	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.3.1
3.3.3	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა-3	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.3.1
3.4	ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა										
3.4.1	ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.4.2	ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.4.1
3.4.3	ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა-3	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.4.1
3.5	ფიზიკის სწავლების მეთოდიკა										
3.5.1	ფიზიკის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.5.2	ფიზიკის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.5.1
3.5.3	ფიზიკის სწავლების მეთოდიკა-3	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.5.1
3.6	ქიმიის სწავლების მეთოდიკა										
3.6.1	ქიმიის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/0/2	x		
3.6.2	ქიმიის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/0/2		x	3.6.1
3.6.3	ქიმიის ამოცანების სწავლების მეთოდიკა	3	5	125	45	2	77	1/2		x	
3.7	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა										
3.7.1	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.7.2	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.7.1
3.7.3	ინგლისური ენის სასკოლო კურსი	3	5	125	45	2	77	1/2		x	
3.8	გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა										
3.8.1	გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.8.2	გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.8.1
3.8.3	გერმანული ენის სასკოლო კურსი	3	5	125	45	2	77	1/2		x	
3.9	ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა										
3.9.1	ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.9.2	ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.9.1
3.9.3	ფრანგული ენის სასკოლო კურსი	3	5	125	45	2	77	1/2		x	
3.10	რუსული ენის სწავლების მეთოდიკა										
3.10.1	რუსული ენის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		

3.10.2	რუსული ენის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.10.1
3.10.3	რუსული ენის სასკოლო კურსი	3	5	125	45	2	77	1/2		x	
3.11	ისტორიის სწავლების მეთოდიკა										
3.11.1	ისტორიის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.11.2	ისტორიის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.11.1
3.11.3	ისტორიის სწავლების მეთოდიკა-3	3	5	125	45	2	77	1/2		x	
3.12	მუსიკის სწავლების მეთოდიკა										
3.12.1	მუსიკის სწავლების მეთოდიკა-1	3	5	125	45	2	77	1/2	x		
3.12.2	მუსიკის სწავლების მეთოდიკა-2	3	5	125	45	2	77	1/2		x	3.12.1
3.12.3	მუსიკის სწავლების მეთოდიკა-3	3	5	125	45	2	77	1/2		x	
სულ		**9**	**15**	**375**	**135**	**9**	**231**	**-**			
სულ			**60**	**1500**	**540**	**36**	**924**	**-**			